საქმე №3300315220003495707
საქმე №3/1627-20

5801380090642
www.ecd.court.ge

# განჩინება

საქართველოს სახელით

25 თებერვალი, 2020 წელი  ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ლელა [illegible]

შუამდგომლობის ავტორი – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მოთხოვნა - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1267 (1999), 1989 (2011) და 2253 (2015) რეზოლუციების შესაბამისად შექმნილი „ისლამური სახელმწიფოს“ („დაეში“) და „ალ-ქაიდას“ სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე გამოცხადებულ იურიდიულ პირთა სიაში დამატებული იურიდიული პირების ქონებაზე ყადაღის დადება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა და

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის $21^{10}$-ე მუხლის, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის მე-$13^{2}$ მუხლის პირველი პუნქტისა და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 დეკემბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის დებულების მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 25 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის შუამდგომლობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1267 (1999), 1989 (2011) და 2253 (2015) რეზოლუციების შესაბამისად შექმნილი „ისლამური სახელმწიფოს“ („დაეში“) და „ალ-ქაიდას“ სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე გამოცხადებულ იურიდიულ პირთა სიაში დამატებული 2 იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე.

| N | ორგანიზაციის დასახელება | დასახელების სხვა ვარიანტები | მისამართი(ები), შესაძლო ადგილსამყოფელი | სიაში შეყვანის თარიღი | სხვა ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ISLAMIC STATE WEST AFRICA PROVINCE (ISWAP) | ა) Islamic State in Iraq and the Levant - West Africa (ISIL-WA)<br><br>ბ) Islamic State of Iraq and Syria - West Africa (ISIS-WA)<br><br>გ) Islamic State of Iraq and Syria West Africa Province (ISISWAP)<br><br>დ) Islamic State of Iraq and the Levant — West Africa | | 2020 წლის 23 თებერვალი<br><br>(23 February 2020) | დაკავშირებულია ისლამური სახელმწიფოსა და ლევანტის დაჯგუფებასთან ერაყში (სიაში განთავსებულია როგორც ალ-ქაიდა ერაყში (QDe.115)). ჩამოყალიბდა 2015 წლის მარტში აბუბაქარ შეკაუს მიერ (QDi.322). წარმოადგენს ბოკო ჰარამის ( Jama'atu Ahlis Sunna Lidda'Awati Wal-Jihad) დაჯგუფების ნაწილს (QDe.138). ტერორისტულ თავდასხმებს ახორციელებს ნიგერიაში.<br><br>(Associated with the Islamic State in Iraq and the Levant (listed as Al-Qaida in Iraq (QDe.115)). Formed in March 2015 by Abubakar Shekau (QDi.322). Splinter group of Jama'atu Ahlis Sunna Lidda'Awati |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | Wal-Jihad (Boko Haram) (QDe.138). Committed terrorist attacks in Nigeria.) |
| 2 | ISLAMIC STATE IN THE GREATER SAHARA (ISGS) | ა) Islamic State in Iraq and Syria — Greater Sahara (ISIS-GS)<br><br>ბ) Islamic State of Iraq and Syria — Greater Sahara (ISIS-GS)<br><br>გ) Islamic State of Iraq and the Levant — Greater Sahara (ISIL-GS)<br><br>დ) Islamic State of the Greater Sahel<br><br>ე) ISIS in the Greater Sahel<br><br>ვ) ISIS in the Greater Sahara<br><br>ზ) ISIS in the Islamic Sahel | | 2020 წლის 23 თებერვალი<br><br>( 23 February 2020) | ჩამოყალიბდა 2015 წლის მაისში ადნან აბუ ვალიდ ალ-საჰრაუის (QDi.415). დაკავშირებულია ისლამური სახელმწიფოს ერაყისა და ლევანტის დაჯგუფებასთან ან ჯგუფი (სიაში განთავსებულია როგორც ალ-ქაიდა ერაყში (QDe.115)). ალ-მურაბითუნის დაჯგუფების ნაწილი (QDe.141). ტერორისტული თავდასხმები განახორციელა მალიში, ნიგერსა და ბურკინა ფასოში.<br><br>(Formed in May 2015 by Adnan Abu Walid al-Sahraoui (QDi.415). Associated with the Islamic State in Iraq and the Levant (listed as Al-Qaida in Iraq (QDe.115)). Splinter group of Al Mourabitoun (QDe.141). |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | Committed terrorist attacks in Mali, Niger and Burkina Faso). |

სასამართლო გაეცნო რა საქმის მასალებს, მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII⁸ თავით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალწარმოების განხორციელების წესი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად სანქცირებული პირის ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21³⁸ მუხლის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომ - გაერო) წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად, რომლებიც მიზნად ისახავს ტერორიზმის დაფინანსების ან/და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციას, გამოვლენას და აღკვეთას, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე საქმეებს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის (შემდგომ – სამთავრობო კომისია) შუამდგომლობის საფუძველზე განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
ამავე კოდექსის 21³⁹ მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გაეროს უშიშროების საბჭოს №1373 (2001) რეზოლუციის მოთხოვნების შესაბამისად ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული, ყადაღადასადები ქონების შესახებ მონაცემები მათი არსებობის შემთხვევაში.

ამავე კოდექსის 21⁴⁰ მუხლის თანახმად, მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობას დაუყოვნებლივ, ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს. მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას არაუგვიანეს 3 დღისა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირისთვის შეუტყობინებლად. მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის განხილვისას ითვალისწინებს ყადაღისადმი დაქვემდებარებულ ქონებაზე კეთილსინდისიერი მესამე პირის უფლებებს. მოსამართლე გამოსცემს სამთავრობო კომისიის შუამდგომლობით განსაზღვრულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე ბრძანებას, თუ დადგინდება, რომ სამთავრობო კომისიის შუამდგომლობაში მითითებული პირი აკმაყოფილებს გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციით განსაზღვრულ სათანადო კრიტერიუმს.

დასახელებული ნორმების მხედველობაში მიღებით და საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს შუამდგომლობით დასახელებული პირების ქონებაზე ყადაღის დადების საფუძველი.

სასამართლო დამატებით მიუთითებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, სასამართლო ბრძანებას გამოაქვეყნებს საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის $21^{18}$–$21^{24}$ მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. დაედოს ყადაღა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1267 (1999), 1989 (2011) და 2253 (2015) რეზოლუციების შესაბამისად მიღებული „ისლამური სახელმწიფოს“ („დაეში“) და „ალ-ქაიდას“ სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ იურიდიულ პირთა სიაში დამატებული 2 იურიდიული პირის ქონებას:

| N | ორგანიზაციის დასახელება: | დასახელების სხვა ვარიანტები | მისამართი(ები), შესაძლო ადგილსამყოფელ(ი) | სიაში შეყვანის თარიღი | სხვა ინფორმაცია: |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ISLAMIC STATE WEST AFRICA PROVINCE (ISWAP) | ა) Islamic State in Iraq and the Levant – West Africa (ISIL-WA)<br>ბ) Islamic State of Iraq and Syria – West Africa (ISIS-WA)<br>გ) Islamic State of Iraq and Syria West Africa Province (ISISWAP)<br>დ) Islamic State of Iraq and the Levant — West Africa | | 2020 წლის 23 თებერვალი<br>(23 February 2020) | დაკავშირებულია ისლამური სახელმწიფოს და ლევანტის დაჯგუფებასთან ერაყში (სიაში განთავსებული როგორც ალ-ქაიდა ერაყში (QDe.115)). ჩამოყალიბდა 2015 წლის მარტში აბუბაქარ შეკაუ [illegible] (QDi.322), ხოლო [illegible] Jama'atu Ahlis Sunna Lidda'Awati Wal-Jihad) დაჯგუფების |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ჰარამის (QDe.138). ტერორისტული თავდასხმების განხორციელება ნიგერიაში.<br><br>(Associated with the Islamic State in Iraq and the Levant (listed as Al-Qaida in Iraq (QDe.115)). Formed in March 2015 by Abubakar Shekau (QDi.322). Splinter group of Jama'atu Ahlis Sunna Lidda'Awati Wal-Jihad (Boko Haram) (QDe.138). Committed terrorist attacks in Nigeria.) |
| 2 | ISLAMIC STATE IN THE GREATER SAHARA (ISGS) | ა) Islamic State in Iraq and Syria — Greater Sahara (ISIS-GS)<br><br>ბ) Islamic State of Iraq and Syria — Greater Sahara (ISIS-GS)<br><br>გ) Islamic State of Iraq and the Levant — Greater Sahara (ISIL-GS)<br><br>დ) Islamic State of the Greater Sahel<br><br>ე) ISIS in the Greater Sahel<br><br>ვ) ISIS in the Greater Sahara<br><br>ზ) ISIS in the Islamic Sahel | | 2020 წლის 23 თებერვალი<br><br>( 23 February 2020) | ჩამოყალიბდა 2015 წლის მაისში ადნან აბუ ვალიდ ალ-საჰრაუის (QDi.415). დაკავშირებულია ისლამური სახელმწიფოს და ლევანტის დაჯგუფებასთან ერაყში (ლისტში განთავსებული როგორც ალ-ქაიდა ერაყში (QDe.115)). ალ-მურაბიტუნის დაჯგუფების ნაწილი (QDe.141). ტერორისტული თავდასხმები განახორციელა მალიში, ნიგერსა და ბურკინა ფასოში.<br><br>(Formed in May 2015 by Adnan Abu Walid al-Sahrawi (QDi.415). Associated with the Islamic State in Iraq and the Levant (listed as Al-Qaida in Iraq |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | (QDe.115)). Splinter group of Al-Mourabitoun (QDe.141). Committed terrorist attacks in Mali, Niger and Burkina Faso). |

3. წინამდებარე განჩინება ძალაში შედის გამოცხადებისთანავე და მისი გასაჩივრება არ აჩერებს განჩინების მოქმედებას;

4. განჩინება განთავსდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

5. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ.თბილისი, გრიშაშვილის ქუჩა, N7ა) მხარისათვის მისი ჩაბარებიდან 48 საათში, ხოლო თუ განჩინება ვერ ჩაბარდება, განჩინების საჯაროდ გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

მოსამართლე ლელა [illegible]